საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/2 " 22 " თებერვალი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ამირან ძაბუნიძემ 2020 წლის 31 დეკემბერს წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და აცნობა, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე - ქ. ქუთაისში არ აქვს საცხოვრებელი ბინა. ამავე შინაარსის განცხადებით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2020 წლის 31 დეკემბერს თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გრიგოლ ვატიტაძემ და მოითხოვა ქ. თელავში საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვასილ მშვენიერაძე და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ციცინო როხვაძე, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილებზე - ქ. ქუთაისსა და ქ. ოზურგეთში უზრუნველყოფილი იყვნენ საცხოვრებელი ფართობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებად დანიშვნასთან დაკავშირებით 2020 წლის 28 დეკემბრიდან აღარ საჭიროებენ ბინით უზრუნველყოფას.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ამირან ძაბუნიძეს;";

ბ) მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი:
„გ) თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გრიგოლ ვატიტაძეს.";

გ) მე-9 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი